№ 269 23 დეკემბერი, ხუთშაბათი. 1866—1882 23 დეკემბერი, ხუთშაბათი. № 269

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (გერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“.

„დროების“ ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| ერთის წლისა . . . | 9 მან. | სამის თვისა . . . | 3 მან. |
| ექვსის თვისა . . . | 5 მან. | ერთის თვისა . . . | 1 მან. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდის ასოებით, ასოზე 1 კაპ., [illegible] ასოზე ნახევარი კაპ., წვრილის ასოებით სტრიქონზე 8 კაპ.

თუ ხელნაწერები მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია [illegible] ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებას მიიღებს ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადებას მიიღებს ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს ერთი შაური.

მომავალ 1883 წელს ყოველ-დღიური გაზეთი

## „დროება“

გამოვა იმავე პროგრამმით და წესით, როგორც აქამდინ გამოდიოდა.

რედაქციას იმედი აქვს, რომ ზოგიერთ ახალი თანამშრომლებისა და სხვა ღონისძიების შემწეობით, მომავალის წლიდამ გააუმჯობესოს თავის გაზეთი და ისეთი ცვლილება შემოიღოს იმის გამოცემაში, რომლისთვისაც მკითხველნი კმაყოფილნი დარჩებიან.

ხელის-მოწერა მიიღება:

თფილისში: „დროების“ რედაქციის კანტორაში, გალავნის პროსპექტზე, თ. ივ. კ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

ქუთაისში: —ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბულვართან.

ბათუმში: —ლევ. მჭედლიშვილთან, საკუთარს სახლში.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ Въ редакцію „Дроэба“.

ფასი ხელის-მოწერისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| ერთის წლით: . . . . . | 9 მან. | სამის თვით . . . . . . | 3 „ |
| ნახევარის წლით . . . . | 5 „ | ერთის თვით . . . . . . | 1 „ |

სხვა გვარად ხელის-მოწერა არ შეიძლება. ხურდა ფული ხელის-მომწერმა გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში. გთხოვთ აგრეთვე, რომ თავის სახელი და გვარი და საცხოვრებელი ადგილი გარკვევით დასწერონ.

რედაქტორი სერ. მესხი.

გამომცემელი სტ. მელიქიშვილი.

## ტელეგრამმა

(„ჩრდილოეთ ტელეგრაფის სააგენტოსი“)

21-ს დეკემბერს.

პარიჟი. გუშინწინ საღამოს 6 საათი იყო, რომ გამბეტა ცუდად შეიქმნა. ექიმებმა გამოაცხადეს, რომ გამღიერებული ანთება აქვს წელებისაო; ავადმყოფი საშინლად იტანჯებოდა, მაგრამ გრძნობა არ დაუკარგავს; 10 საათზედ დაეკარგა გრძნობა და შუაღამისას სული განუტევა.

გამბეტას სიკვდილმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პარიჟში. ზოგიერთი გაზეთები შავის არშიით გამოვიდა. ამბობენ; გამბეტას, ქ. ნიცცაში დაასაფლავებენო.

პეტერბურღი. ყველა გაზეთები დღეს გამბეტას სიკვდილზე სჯიან.

პეტერბურღის ფრანცუზული გაზეთის სიტყვით გამბეტას სიკვდილს გავლენა არ ექნება საფრანგეთის მმართველობაზედ. „გოლოსის“ აზრით ბევრი ნიშნებია საფრანგეთის რესპუბლიკური მმართველობის დღეგრძელობისა; ის ახსენებს რუსეთისადმი თანაგრძნობას გამბეტისავე რომლის შემწეობითაც შეიძლებოდა, საფრანგეთისა და რუსეთის დაკავშირებაო. გაზ. „ახალი დროება“ ბისმარკზე მაღლა აყენებს გამბეტას და ამბობს, რომ გამბეტას სიკვდილი მწუხარებას მოგვრის რუსეთსაო. პეტერბურღის ნემეცური გაზეთი-კი ამბობს, რომ გამბეტას სიკვდილით დამყარდება მშვიდობიანობა საფრანგეთშიო.

„მართლმსაჯულების მოამბე“ იწერება, რომ კვირას გაჩენილს სასახლის თეატრში, ათი უდიდესებათა, იმპერატორის გარეულობისა და სხვა წარჩინებულ პირთა დასწრებით, კოკლენის დისაგან წარმოდგენილ იქმნა ორი პიესა, რომლის შემდეგაც იყო ვახშამი საღამოს ათავდა ღამის 3 საათზე.

„ახალი დროების“ სიტყვით, სასახლის მინისტრი 23 დეკემბერს დაბრუნდება პეტერბურღშიო.

## დღიური

ზეგუშინ ორშაბათისათვის დანიშნული ქალაქის რჩევის კრება ვერ შედგა, რადგან კანონით საჭირო რიცხვი ხმოსნებისა არ შეგროვდა.

ამ რჩევას, სხვათა შორის, ქალაქის მომავალი წლის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა უნდა განეხილა და რადგან რჩევა არ მოგროვდა, ეტყობა ეს ხარჯთ-აღრიცხვა მომავალს, ახალ რჩევას დარჩება განსახილველად და დასამტკიცებელად. ესე ემჯობინება კიდეც.

* * *

ჩვენ შევიტყეთ, რომ პირველი კრება ქალაქის რჩევის ახალ ხმოსნებისა მომავალ 1883 წლის 2 იანვარს იქნებაო. მაშასადამე ამ ვადამდინ პირველ რიგის ამომრჩეველთა ახალი კენჭის-ყრა უნდა მოხდეს, რადგან, როგორც მოგეხსენებათ, წინანდელი კენჭის-ყრა ამ რიგის ამომრჩეველთა საქალაქო საქმეთა პრისუტსტვიამ უკანონოდ ჩათვალა და უკვე გააუქმა.

* * *

თუ როგორი ფოსტა და გზებია ჩვენი ქვეყნის ზოგიერთს კუთხეებში—ამის გასაგებად მიაქციეთ ყურადღება დღევანდელ ნომერში დაბეჭდილს სვანეთიდამ მიღებულს კორრესპონდენციას. ეს კორრესპონდენცია 22 ოქტომბერს არის სვანეთიდამ გამოგზავნილი და ჩვენ ტფილისში კი მხოლოდ გუშინ წინ 21 დეკემბერს მივიღეთ; მაშასადამე სწორედ ორი თვე უმგზავრია.

* * *

ამბობენ, რომ სამოსამართლო პალატამ ბ. ნ. დ. ზუბალოვის სასარგებლოდ გადაწყვიტა ის საჩივარი,

„დროების“ ფელეტონი, 23 დეკემბ.

## ლეონ გამბეტა

ლეონ-მიშელ გამბეტტა, რომლის სიკვდილსაც რესპუბლიკური საფრანგეთი დასტირის ახლა, დაიბადა პატარა ქალაქს კაჰორში ღარიბის დედმამისაგან; იმის მამას ამ ქალაქში პატარა დუქანი ჰქონდა და ამით არჩენდა თავის ცოლ-შვილს.

სწავლა დაიწყო გამბეტტამ თავის სამშობლო ქალაქში, სადაც, მშვენიერად კურსის შესრულების შემდეგ, პარიჟის უნივერსიტეტში შეისწავლა იურიდიული მეცნიერება. იმის სტუდენტობა ახლაც საარაკოდ არის დარჩენილი. თითქმის მთელი დღეებს ის ატარებდა პარიჟის ერთს გამოჩენილ კაფეში, „პროკოპის კაფეში“, სადაც მაშინდელი დაწინაურებული ახალგაზრდები გროვდებოდნენ და სხვა-და-სხვა საზოგადო საქმეებზედ თავისუფლად სჯიდნენ. გამბეტტა იყო ამ კაფეში პირველი ორატორი; როდესაც ის იმპერატორის ნაპოლეონისა და იმის მაშინდელ მინისტრების ვერაგობაზედ გაცხარებულ და მჭევრმეტყველურ ლაპარაკს დაიწყებდა, ყველანი აღტაცებით ყურს უგდებდნენ და ტაშის-კვრით თანაგრძნობას უცხადებდნენ.

პარიჟის უნივერსიტეტში კურსის შესრულების შემდეგ, ის ჩაეწერა (1859 წ.) ადვოკატებში და რამდენიმე წლის განმავალობაში სხვა-და-სხვა წვრიმალ საქმეებს იცავდა პარიჟისა და სხვა ქალაქების სასამართლოებში.

პირველად გამბეტას სახელი გაითქვა 1868 წელს, როდესაც იმან იკისრა დაცვა ერთის გაზეთის („Réveil“) რედაქტორის დელკლუზისა, რომელსაც ნაპოლეონის სასამართლო სდევნიდა იმისათვის, რომ 1851 წელს ნაპოლეონის სალდათებისაგან პარიჟის ბარიკადზე მოკლულის დეპუტატის ბოდენის ძეგლის ასაგებად ხელის-მოწერა გამართა თავის გაზეთში. იმეთი ცხარე სიტყვები წარმოსთქვა მაშინ გამბეტტამ სასამართლოში ნაპოლეონის გაძევებაზედ, იმისა და იმის მინისტრების მოქმედებაზედ, ისე თამამად ილაპარაკა, მთელი საფრანგეთი გააკვირვა და აღტაცებაში მოიყვანა ყველა, ვინც-კი ამ იმპერატორს არ ძაღლიყოფებოდა.

—არც ერთმა პატიოსანმა კაცმა არ უნდა დაიჭიროს იმ კაცის ხელი, რომელმანც გასტეხა ფიცი და ღალატით და ძალადობით ჩაიგდო ხელში საფრანგეთის ხალხიო! სთქვა მან სხვათა შორის.

1864 წელს დანიშნული იყო საზოგადო ენჭის-ყრა მაშინდელ კანონმდებელ კრებისათვის დეპუტატების ასარჩევად. გამბეტტა პარიჟში და ლიონში წარსდგა დეპუტატად და ორივე ქალაქში დიდის უმრავლესობით იქმნა დეპუტატად ამორჩეული.

პრუსიასთან ომიანობის დაწყებამდის იმის მოქმედება კანონმდებელ კრებაში არაფრით შესანიშნავი არ ყოფილა; რამდენიმე სიტყვა წარმოსთქვა იმან, სხვა-და-სხვა საგნების თაობაზედ, და ყველაში დიდ მტრობასა და ზიზღს აცხადებდა ნაპოლეონის მმართველობაზედ.

როდესაც ნაპოლეონმა ზოგიერთი თავისმტრები—რესპუბლიკისმომხრეები მიიმხრო და ერთ ამათგანი ემილ ოლივიე მინისტრადაც დანიშნა, გამბეტტამ ვერაფრად მოიწონა ეს ოინი და, სხვათა შორის, სთქვა:

—კეთილი, თქვენი ლიბერალური სამინისტრო იქნება ხიდი, რომლითაც ჩვენ რესპუბლიკისაკენ გადავალთ!

მაგრამ ნამდვილი მოქმედება, ნამდვილი მამულის-შვილობა, თავ-განწირულობა და გასაოცებელი ნიჭი გამბეტტამ გერმანიასა და საფრანგეთს შუა ომის დროს გამოიჩინა.

მოგეხსენებათ, როგორ უბედურად დაიწყო ეს ომი საფრანგეთისათვის: დამარცხება დამარცხებას მოჰყვა და ბოლოს, სედანთან, თვით იმპერატორი ნაპოლეონი დიდ ძალი ჯარით დატყვევეს და წაიყვანეს ნემეცებმა. პარიჟში იმ წამსვე არეულობა მოხდა და წონ მდებელმა კრებამ (1870 წ. 3 სექტ.), გამბეტტას წინადადებით, ნაპოლეონის ტახტიდამ გადაყენება და საფრანგეთში რესპუბლიკის დაარსება გამოაცხადა. გამბეტტა შინაგან საქმეთა მინისტრად იქმნა დანიშნული.

ეს ის დრო იყო, როდესაც ნემეცის ჯარი მიუახლოვდა პარიჟს და გარს შემოერტყა ამ მსოფლიო ქა-

რომელიც იმან დაიწყო ქალაქის გამგეობის წევრის გ. ა. ა. თამამშოვისაგან მიყენებულს შეურაცხყოფაზედ.

მოგეხსენებათ, რომ ოლქის სასამართლოს გადაწყვეტილებით, როგორც კერძო პირის შეურაცხყოფაზე, ისე უნდა ეწარმოებინა ეს საქმე. პალატამ კი ქალაქის რჩევასა და გამგეობაში მოსამსახურე პირნი თანამდებობის მქონ პირებად აღიარა.

* * *

არც ერთი რუსის ქალაქი და ერობა არ დარჩა თითქმის, რომ პეტერბურღის საქალებო საექიმო კურსებისათვის რაიმე შემწეობა არ აღმოეჩინოს, რადგან მთავრობამ, უფულობის გამო, შემწეობა მოუსპო ამ კურსებს და თუ საზოგადოებამ არ მოუმართა ხელი, მოსპობა მოელის.

ამ საზოგადო თანაგრძნობის გამოცხადებაში მხოლოდ ჩვენი მხრის ქალაქებს არ მიუღიათ არავითარი მონაწილეობა, არავითარი შემწეობა არ აღმოუჩენიათ ამ ფრიად სასარგებლო დაწესებულებისათვის. სხვა არა იყოსრა მარტო იმიტომ მაინც უნდა დავეხმარებოდით ჩვენ ამ კურსებს, რომ ამ ჟამად რამდენიმე კავკასიელი ქალები, ქართველები და სომხები სწავლობენ იქ და თუ კურსები მოისპო, ამათაც მოესპობათ სწავლის საშუალება და ჩვენ მოგვაკლდება ქალები ექიმები.

ტფილისისა და ქუთაისის ქალაქის რჩევებისა და აგრეთვე ჩვენებურ ბანკების ყურადღებას მივაპყრობთ ამ გარემოებაზედ.

* * *

ბათუმის რკინის გზის თაობაზედ პეტერბურღის გაზეთებში დაბეჭდილია, რომ სამტრედიიდამ დაწყებული ორმოცდა-ათი ვერსის მანძილზე იმდენად გათავებულია ეს გზა, რომ სამუშაო ვაგონები დადიანო; ბათუმიდამ კი მხოლოდ ექვს ვერსზედ, ტონელამდინ, არის დამზადებული. ტონელის მუშაობა შობამდინ მზად იქნებაო, მიწის მუშობა ახლაც მთელს გზაზე გათავებულია. სტანციები: ქობულეთისა, ნატანების, ლანჩხუთისა და სამტრედიის თითქმის სულ მზად არის; ბათუმში კი ამ თავით ხის ვაგზალი იქნება აგებული. ხიდები ამ გზაზედ სულ რკინისაა; ინჟინერი ზეზემანი აკეთებს.

* * *

პეტერბურღის გაზეთები იწერებიან, რომ ამ თვის 18-ს ქაურ სომხის ეკკლესიაში გარდაუხდათ პანაშვიდი ახლად-მიცვალებულ სომხების პატრიარქის გევორქისა. პანაშვიდზე, სხვათა შორის, დასწრებიან: გრაფ ლორის-მელიქოვი, განათლების მინისტრი დელიანოვი, იგნატიევი, კავკასიის მთავარ-მმართველი თ. დონდუკოვ-კორსაკოვი და სხვ.

## „დროების“ კორრესპონდენცია

—

**სვანეთი**, 22 ოქტომბერს. დიდ სიღარიბეში ჩავარდა საწყალი სვანეთი ამ უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში. მიზეზი სიღარიბისა გახლავსთ ის, რომ ამ წლებში ხალხს მოსავალი თან-და-თან ნაკლები მოუდის. 1880 წელს, 23 აგვისტოს, ნახევარი არშინი თოვლი მოვიდ და ყანებს, ჯერ კიდევ მარცვალ-შეუსრულებელს, უნდილი დაჰკრა, რის გამოც მოსავალი ერთობ ნაკლები იყო და რაც მოვიდა, ისიც ურგები და უნოყიერო იყო. 1881 წელს, ახლად დათესილ ყანებს ყინულმა დაჰკრა და თესლშივე გააფუჭა. წრეულს ხომ ხანგრძლივმა გვალვამ, არა თუ სვანეთი დაამშია, სხვა საქართველოს კუთხეებსაც დიდი ზარალი მისცა.

ამ წლების განმავლობაში ხალხს ნახევარი წლის სარჩო არ მოსვლია, ამისათვის ოთხ-ფეხი საქონელი, რომელიც პირველი წყაროა სვანეთის ხალხის ცხოვრებისათვის, სულ სარჩოში წაუვიდათ. საქონელს ხალხი ჰყიდდა მახლობელ მაზრებში: ლეჩხუმის, რაჭის და ზუგდიდისა. ამავე მაზრებიდან მოჰქონდათ ზურგით ნამუშევარი—სიმინდი.

წრეულს კი, სვანების საუბედუროდ, ლეჩხუმის და რაჭის მაზრებში ისე ნაკლები მოსულა სიმინდი და სხვა ნამუშევარი, რომ არა თუ გაჰყიდიან, თვითონაც უმეტეს ნაწილმა, იმერეთიდან უნდა მოიტანოს სარჩო.

მაშ რა ეშველებათ სვანებს, რომელთაც არც ფული აქვთ, არც ოთხფეხი საქონელი შერჩათ და ვერც საყიდლად სადმე იშოვნიან, გარდა იმერეთისა, რომელიც თითქმის ორასს ვერსს შორავს სვანეთს. ეს სიშორე და უგზოობა კიდევ არაფრად ჩავარდებოდა, რომ სვანეთსა და იმერეთს შუა საცხენო გზა ყოფილიყო ნახევარ წელიწადს მაინც; მაგრამ უბედურობაც ის არის, რომ შუა სექტემბრიდან დაწყებული 10 ივლისამდე სვანეთიდან საცხენო გზა შეკრულია. მაშასადამე, სვანმა თავისი ოჯახის სარჩო, ძლიერ ცოტა ვსთქვათ, ნახევარი წლის მაინც, ზურგით უნდა ზიდოს იმერეთის სოფლებიდან, თუ კი ნამუშევრის ფასი იშოვეს! ძნელია, ამ გვარი მდგომარეობა ხალხისა და უფრო ძნელია იმისთვის, ვინც ამ გვარ ხალხის მდგომარეობას ყოველ დღე ჰხედავს, ჰხედავს და შველა კი არაფრისა შეუძლია! მაგრამ რას იზამ? სჩანს ღმერთსაც დავიწყებია ეს ხალხი, თორემ რაზე ჩააგდებდა ამ გვარ უგზო-უკვლო ადგილას!..

ამ გაჭირვებაში რომ მთავრობა რამოდენიმე წლის ბეგარას (კომლზედ ექვს აბაზ ნახევარია) აპატიებდეს ხალხს, მადლი იქნება, სხვა რომ არა იყოს-რა.

ეს ოქტომბერი რაღაც უბედურ შემთხვევებით დაგვიდგა და ჯერ-ჯერობით ისევე მიმდინარეობს:

პირველს ამ თვეს ხუთი კაცი სვანეთიდან ს. ყარაჩაში მიდიოდნენ სავაჭროდ, დიდ კავკასიის ქედზედ. ხუთივე ეს საცოდავები ზვავს წაუღია და რამოდენიმე ხნის შემდეგ ნახეს მკვდრები. ამათში სამი საბატონო სვანები იყვნენ და ორი სადადიანო სვანეთიდან.

**სამს** ამ თვეს მულახის საზოგადოებაში (თავისუფალ სვანეთშია) ვიღაცამ სოფლის სუდია მოჰკლა თოფით, როდესაც სოფლის მოხელეები ნავახშმევს მუსაიფს შეექცეოდნენ ერთ გლეხის სახლში. თოფის ნასროლი იყო ფანჯარიდან. თოფი ორი ტყვიით ყოფილა გატენილი და უბედურ სუ-

ლაქს. გამბეტტა ჰაეროსტატით გადაფრინდა თავზე ამ ნემეცის ჯარებს, მივიდა ქ. ტურში და შეუდგა ახალ ჯარების მოგროვებას მტერთან საბრძოლველად. ერთს და იმავე დროს ის იყო სამხედრო, შინაგან საქმეთა და უცხო ქვეყნის საქმეთა მინისტრადაც. მთელი საფრანგეთის ერთად-ერთი გამგებელი (დიქტატორი) ის იყო.

სამხედრო საქმეების მცოდნე პირთ ახლაც გასაკვირველად მიაჩნიათ მაშინდელი იმის სამხედრო განკარგულება, იმის ცოდნა სამხედრო საქმეებისა, იმის დაუღალავი მოქმედება, გამჭრიახობა და თავ-განწირულება. ორის თვის განმავლობაში იმან მოაგროვა რამდენიმე ასი ათასი ჯარი და ყველას იარაღი გაუჩინა. მაგრამ ეს ჯარი მოუმზადებელი, გაუწრთვნელი იყო და იმისთანა ჯართან ბრძოლა, როგორიც გერმანიის ჯარი იყო, არ შეეძლო.

ამას გარდა მომეტებული ნაწილი საფრანგეთის მაშინდელ მოთავე პირებისა და, ამათის წყალობით, თვით ხალხიც სასოწარკვეთილებაში ჩავარდა; ბაზენის ღალატისა და პარიჟის სრულიად გარშემო შემორტყმის შემდეგ, სრულიად დაეკარგათ იმედი გამარჯვებისა და მტერთან მორიგებაზე დაიწყეს ფიქრი. გამბეტტა წინააღმდეგი იყო იარაღის დაყრისა, მორიგებისა; იმას კიდევ ჰქონდა იმედი, რომ დაჩაგრული ხალხი საფრანგეთისა უკანასკნელ ღონისძიებას იხმარდა, თავგანწირულებას გამოიჩენდა და დაამარცხებდა მტერს. მაგრამ დანარჩენ იმის ამხანაგებმა—მინისტრებმა—ჟულ ფავრმა და ტიერმა სხვა ნაირად განსაჯეს: ისინი შეუდგნენ მტერთან მორიგებაზე მოლაპარაკებას და შედეგი ამ მოლაპარაკებისა ყველამ იცის: ხუთი ათასი მილიონი ფრანკი სამხედრო კონტრიბუცია უნდა გადაეხადნა საფრანგეთს და ამასთან ორი თავის საუკეთესო პროვინცია—ელზასი და ლოტარინგია უნდა დაეთმო მტრისათვის.

იმ უბედურ მოვლენაში, რომელსაც პარიჟის კომუნას ეძახიან, როდესაც გარეშე მტრისაგან დაჩაგრულ ხალხში ძმა-ძმის წინააღმდეგი ბრძოლა ატყდა, გამბეტტას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. ამ დროს ის, დაქანცული და გულ-დაკოდილი სამშობლო უბედურებისაგან, ესპანიაში წავიდა და რამდენიმე თვე იქ გაატარა.

რესპუბლიკის პრეზიდენტმა ტიერმა და ვერსალის ჯარმა რომ პარიჟის არეულობა დაამშვიდობეს, გამბეტტა საფრანგეთში დაბრუნდა და ამ დღიდამ იწყება იმის გამოჩენილი პარლამენტალური მოქმედება. ბორდოში ამორჩეული დეპუტატები მომეტებული ნაწილი ისეთი პირებისაგან შესდგებოდნენ, რომელთაც მშვიდობიანობის მეტი არა უნდოდათ-რა და რომელნიც ჰფიქრობდნენ, რომ ამ მშვიდობიანობის დამყარება მარტო რომელსამე მეფეს შეუძლიან საფრანგეთშიო. რესპუბლიკის მომხრე მხოლოდ რამდენიმე დეპუტატი იყო და იმათაც არ ჰქონიათ გზა გაკვლეული, თუ როგორ უნდა ემოქმედნათ, რა გზას დამდგარიყვნენ, რა ექმნათ და რა არა.

აი აქ გამოიჩინა გამბეტტამ თავის გასაკვირველი პოლიტიკური ნიჭი და მეთაურობა: იმან მოაგროვა და შეაერთა, გზა და კვალი მისცა ყველა იმ რესპუბლიკურ დეპუტატებს, რომელნიც ცალ-ცალკე მოქმედებდნენ ნაციონალურ კრებაში. მას აქედ ეს პარტია თან-და-თან იზრდებოდა, თანდა-თან მატულობდა მომხრეებს, თანდა-თან პოულობდა ხალხში თანაგრძნობლებს და ბოლოს, თითქმის სულ გამბეტტას მოღვაწეობისა და მოხერხების წყალობით, საქმე იქამდინ მივიდა, რომ ამ კრებაში უმრავლესობას ესენი შეადგენდნენ.

გამბეტტა იყო ამ რესპუბლიკურ პარტიის მოთავე; ორლეანისა და ბურბონის დინასტიის მომხრეებს ყველაზე უფრო იმის ეშინოდათ, ის არღვევდა ამათ პლანებს, ამათ განზრახვას, რომ ისევ დაემკვიდრებიათ საფრანგეთში მეფობა, ის აქარწყლებდა. ამ მონარხიელებმა ისე მოახერხეს საქმე, მაკ-მაგონის პრეზიდენტობის დროს, რომ 1873 წელს კინაღამ საფრანგეთი ჩაიგდეს ხელში, კინაღამ მართლა რესპუბლიკა არ მოშალეს და მეფობა არ დაააარსეს საფრანგეთში. მაგრამ გამბეტტამ შეუტყო მაშინდელ მონარხიელების მოჭახრაკეთ (გერცოგ ბროჰლის) ეს ოინები, გამოაცხადა ყველა იმათი უკანონო და გაიძვერული მოქმედება და მონარხიის განახლება ააცდინა საფრანგეთს თავიდამ. ერთს კრებაში გამბეტტასაგან თქმულმა ორმა სიტყვამ მოუღო ბოლო მაკ-მაგონისა და მომხრეების მეფობას. იმან თქვა: „დამორჩილება ანუ გადადგომა!“ ესე იგი მაკ-მაგონი ან უნდა დაემორჩილოს საფრანგეთის რესპუბლიკურ წესს და ამის და-გვარად უნდა განაგოს საქმეებიო და ან უნდა გადადგეს პრეზიდენტობიდამაო.

გადამდგარ მაკ-მაგონის მაგივრად, რესპუბლიკის პრეზიდენტად (1878 წ.), გამბეტტას რჩევითა და მეცადინეობით, ნაციონალურ კრებამ და სენატმა ამოირჩიეს ძველადგანვე თავის პატიოსნებითა და სიმტკიცით განთქმული რესპუბლიკელი ჟულ გრევი, რომელიც დღემდინ ასრულებს ამ თანამდებობას.

ახლა კი თითქმის სრულიად დაამშვიდა გამბეტტამ გული: იმან იცოდა, რომ გრევის ხელში საფრანგეთის

დის ორივე გულში მოხვედროდა და იმ წამსვე სული დაელია.

დღეს რომ ოც-და-ორია ეს თვე, კიდევ კაცის მკვლელობა მოხდა: ფარის საზოგადოებაში (საბატონო სვანეთშია) ერთმა მეორეს დაჰკრა თავში „მუჯურო" (სვანური ჯოხი, რომელსაც ბოლოზედ რკინა აქვს ოთხკუთხიანი) და იქვე მოჰკლა.

ჩვენში ავდრებია და თოვლი მოდის. საქვეითო გზა ჯერ კიდევ შეკრულია სვანეთს და მეზობელ მაზრებს შუა. დიდ თოვლიან ზამთარს ველით. სნეულება კი არაფერია ხალხში.

თავისუფალი სვანი.

## წერილი რედაქტორთან

ბატონო რედაქტორო! გთხოვთ დამიბეჭდოთ თქვენს გაზეთში ეს პასუხი იმ უსაფუძვლო ამბის შესახებ, რომელსაც იწერება ვილაც ოზურგელი მოამბე. „დროების" 258 № დღიურში.

ეს ვაჟბატონი ამბობს, ვითომც ჩემზედ, ბახვის სკოლის მასწავლებელზედ უკმაყოფილებას აცხადებდნენ ზოგიერთნი აქაური მცხოვრებნი, „რადგან ბავშვებს შეშის მოტანასა და ქათმებს სთხოვსო. ამას გარდა მასწავლებელი სხვა საზოგადოებისა შაგირდებს იღებს, სწავლის ფასს ახდევინებს იმათ და ამის გამო თითონ სოფ. ბახვის მცხოვრებთ შვილებისათვის კი ადგილი არ რჩება სკოლაშიო".

საქმე აი როგორ არის:

ბახვის სკოლის გახსნის დღეს, 1874 წელს 11 ნოემბერს, ამა სკოლის დამაარსებელმა ყოვლად-სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა აღმითქვა მე წელიწადში 300 მან. ძლევა ჯამაგირად საკუთარის მისის ფულიდგან, ხოლო ბახვის საზოგადოებას კი წინა დაუდო ეძლია სასწავლებლისათვის საკმაო შეშა, კლასების და მასწავლებლის ოთახების სათბობლად და შესწეოდა მასწავლებელს ხარჯით; საზოგადოება დათანხმდა ამაზე და გადასწყვიტა შეწეოდა სკოლას თითოეულის მოსწავლის მშობელი თითო ურემი შეშით (გურული ურემი ისე პატარაა, რომ არ შეადგენს კუბ. საჟ. $^{1}/_{16}$-საც). თითო ქათმით და სამი ოყა ლომით.

ეს გადაწყვეტილება არსებობს ბახვის სკოლაში დღემდე იმ შემსუბუქებით, ჩემის მხრით, რომ ღარიბ მოსწავლეთა მშობლები, ჩემისავე სურვილით, განთავისუფლებულნი არიან ამ გადასახადიდგან და ამ შემსუბუქებას ის ბოროტი ბოლოც მოჰყვა, რომ შეძლებულებიც ხშირად თავს იღარიბებენ და არც ერთს ზამთარში სკოლას საკმაო შეშა არ ურჩება; ხოლო მე, სკოლის მასწავლებელს, არც დრო მაქვს და არც სურვილი მიწვევს, ამაზე საზოგადოებას ძალა დავატანო. ასე რომ ორ-სამს ზამთრის თვეს გარდა, მე ჩემის საკუთარის ფულით ნაყიდი შეშით და ხარჯით გამოვდივარ, თუმც პირობის ძალით ეგეები საზოგადოებისაგან უნდა მეძლეოდეს.

ყველა ეს კარგად იცის ბახვის საზოგადოებამ და ამიტომაც არავინ ჩემზედ უკმაყოფილებას არ აცხადებს. ერთი სიტყვით, ბახვის საზოგადოებისა და ჩემს შორის ისეთი კარგი განწყობილება და თანხმობა სუფევს, რომ არავის მათგანს ჩემთან სასამდუროვო არც ჰქონია და არცა აქვს.

სკოლაში სხვა საზოგადოების შაგირდებს ვღებულობ მე იმ შემთხვევაში, როდესაც თვით ბახველების შვილებს ადგილი გადარჩებათ, მაგალითად წლეულს: მთელმა საზოგადოებამ იცის, რომ არც-ერთის ბახვილის შვილის მიღებაზე მე უარი არ მითქვამს. როგორც ეს ყოველ წლობით ხდება, წელსაც დანიშნულ დროზე ბახველებს შვილებს გარდა, მოგროვდნენ გარეშე საზოგადოების შვილებიც სკოლაში შემოსასვლელად; ყველა ესენი მოიყვანეს ან ნათესავმა, ან ნაცნობმა ვინმემ ისევ ბახველებმა. ამათგან წელს მივიღე მხოლოდ ისინი, რომელთაც რაიმე საპატიო საბუთი მიუძღოდათ სკოლაში შემოსასვლელად, მაგალითად, რამდენიმე მათგანს მიემართა არზით ყოვლად-სამღვდელო გაბრიელისადმი და იმისი რეზოლიუციით მიღებულ იქმნენ; რამდენიმე იყვნენ უსკოლო სოფლიდგან მოსულნი, რომელნიც ტირილით და გულ-საკლავი ხვეწნით ითხოვდნენ არ დაგვერჩინა უსწავლელად; ორნიც იყვნენ სხვა სოფლის სკოლებში კურს-შესრულებულნი და ოზურგეთის საქალაქო სასწავლებელში შესვლის მსურველნი, სადაც ისინი კიდევაც მიმდგარიყვნენ შესასვლელად, მაგრამ ვერ დაეჭირათ ჯეროვანი ეგზამენი და ენახათ რა, რომ ბახვის სკოლაში ნასწავლმა ყმაწვილებმა ყველამ ჩინებულად დაიჭირეს ეს ეგზამენი და მიღებულ იქმნენ მეორე კლასში,—ესენიც წარმომდგარიყვნენ თხოვნით ამ სკოლაში ერთის წლით შემოსასვლელად, რათა შემდეგისათვის მოემზადონ საქალაქო სასწავლებლის ეგზამენებისთვის. ესენიც მივიღე მესამე განყოფილებაში, რადგან აქ ადგილი იყო. დანარჩენებს, რომელთაც თავიანთ საზოგადოებაში სკოლა აქვთ, უადგილობისა გამო, უარი ეთქვათ.

ამ ნაირად სამოცი წლევანდელი მიღებული შაგირდებიდგან გარეშე საზოგადოებისანი, მაგრამ ისევ ბახვილების მიერ შემოყვანილნი არიან, 12.

**არც ერთს რწმუნებულს ჩემდამო ბახვის სასწავლებლის შაგირდს, ბახვის საზოგადოებისა იყო ის თუ სხვისა, არას ოდეს არც ერთი გროში სწავლის ფასად, ანუ სხვა რაიმე სახელით ჩემგან არ გადახდიათ.**

ამის მოწმად მომყავს, როგორც ყველა იმ შაგირდების მშობლები, რომელთაც, ან წინად უსწავლიათ, ან ეხლა სწავლობენ, რომელი საზოგადოებისაც უნდა იყვნენ ისინი, აგრეთვე თითოეულად ის პირნიც, რომელნიც წლეულს შემოიყვანეს ჩემდამო რწმუნებულს სკოლაში გარეშე საზოგადოების შაგირდები, სახელდობ: იაგორ მინდაძის შემომყვანი მღ. ლავრენტი მიქაძე, ერასტო წულაძის შემომყვანი ივანე ჭელიძე, დიმიტრი შარაშანიძისა—საყვარელ შარაშანიძე, სარდიონ ჭანჭანტირაძისა—მიშვარდი ჩიტაიშვილი, კაპიტონ ბიბინეიშვილისა—დიომიდე ჯანელიძე, პორფირე ჯინჭარაძისა და ივანე ძიძიშვილისა იასონ დოლიძე, ირაკლი ცეცხლაძისა—

რესპუბლიკას შიში არა ჰქონდა, მონარხიელები ვერას გაიტანდნენ. მას შემდეგ იწყება გამბეტტას წმინდა პარლამენტალური მოქმედება. არა ერთი მჭევრ-მეტყველური სიტყვა წარმოსთქვა იმან პალატაში სხვა-და-სხვა რეფორმების შემოსაღებად: სხვათა შორის იმის დახმარებითა და თაოსნობით საფრანგეთში შემოიღეს კანონი, რომ ყოველი ფრანცუზი ვალდებულია თავის შვილს წერა-კითხვა მაინც ასწავლოსო, სწავლა მხოლოდ საერო წოდების პირთა ხელში უნდა იყოსო; იმისივე მეცადინეობით პალატამ გამოუცხადა სრული ამნისტია (პატიება) იმ რევოლიუციონერებს, რომელთაც 1870 წ. პარიჟის კომუნაში მიიღეს მონაწილეობა და საფრანგეთიდამ განდევნილი იყვნენ და ბევრი სხვა ახალი კანონები, რომელთ შემოღებამ რესპუბლიკა შეაყვარა უბრალო სოფლის ხალხსაც-კი.

ჟულ გრევის პრეზიდენტობიდამ დაწყებული გაზეთები და საზოგადო აზრი თხოულობდა, რომ გამბეტტას ეკისრნა სამინისტროს შედგენა და საფრანგეთის საქმეების პირ-და-პირ გამგეობაში უფრო დაახლოებული მონაწილეობის მიღება. ამბობდნენ: ნამდვილი გამგებელი საფრანგეთისა გამბეტტა არისო, რასაც უნდა, იმას სჩადის, რომელი მინისტრებიც არ მოსწონს, ცვლის და თითონ კი არავითარ პასუხის-გებაში არ არის, რადგან ყველა იმას ის ახერხებს მხოლოდ როგორც უბრალო დეპუტატი, რომელიც პალატის უმრავლესობაზე ბატონობსო.

ბოლოს ამ წლის დამდეგს ის თითქმის იძულებული შეიქნა სამინისტროს შედგენა ეკისრნა და შეადგინა კიდეც ეგრედ-წოდებული „დიდი სამინისტრო". მაგრამ ამ გამბეტტას სამინისტროს ხანგრძლივი სიცოცხლე არ ჰქონია: იმან გასტანა ორ თვე ნახევარს და შემდეგ გამბეტტა ისევ უბრალო დეპუტატად დარჩა.

მაგრამ ამ უბრალო დეპუტატს ძველებური თავის ძალა და გავლენა არ მოჰკლებია. საფრანგეთის ხალხს თავის იმედად და გაჭირებაში მხნე ბურჯად ის მიაჩნდა. ამ უკანასკნელ დროს, როდესაც პრეზიდენტს მოხუცებულ ჟულ-გრევის ავად-მყოფობა შეეჩვია, პირველი კანდიდატი პრეზიდენტობაზედ გამბეტტა იყო; საფრანგეთის ხალხი დარწმუნებული იყო, რომ ახლანდელ ევროპის უმთავრეს სახელმწიფოებში, გამბეტტას პრეზიდენტობაში, საფრანგეთი იმავე უპირატესობას და წარჩინებას მოიპოებდა, როგორც ერთ დროს ჰქონდა; დარწმუნებული იყო, რომ იმის წყალობით საფრანგეთი დაიბრუნებდა გერმანიისაგან წართმეულ პროვინციებს—ალზასსა და ლოტარინგიას და სხვ.

მაგრამ უდროვო სიკვდილმა არ დააცალა გამბეტტას ამ იმედების შესრულება.

ლეონ გამბეტტა იყო ერთ უდიდებულესთაგანი პოლიტიკური მომქმედი ამ საუკუნისა. იმას კავურსა და ბისმარკს ადარებდენ მოხერხებითა და ჭკუით. საეჭველია, რომ ჭკუით და გამჭრიახობით არც ერთს ამათგანს ის უკან არ ჩამორჩებოდა; მაგრამ თავის პოლიტიკურ მოქმედებით, პირადი ხასიათებითა და სხვა ყველა მხრით გამბეტტა ერთი-ათად უფრო სიმპატიური და სამაგალითო კაცი იყო, ვინემ, მაგ. თ. ბისმარკი და ბევრი სხვა, ვისაც „სახელმწიფო კაცის" სახელი დაუსაკუთრებიათ.

გამბეტტა უცოლ-შვილო იყო. იმას დარჩა მხოლოდ მოხუცებული მამა, რომელიც, ამ ჟამად, მთელ რესპუბლიკურ საფრანგეთთან ერთად დასტირის ამ მამულის საუკეთესო შვილის სიკვდილს...

## ამაღლებულს

(ხუცურ კილოზე)

ვით ფარშევანგს კუდით—რად გსურს,
ბატონობით რომ ბრწყინავდე,
და საზიზღარ დიდ-გულობით
უგუნურ მფრინველს ჰხიბლავდე?...

—

მერწმუნე, ბედმა შენ აგამაღლა,
არა იმისთვის, რომ დიდ-გულობდე,
არამედ ჩაგრულს შენის ქვეყნისას
ყოფას, ვით ორბი მთიდამ დასცქეროდე!..

—

იმ მთის მწვერვალით შენს უმცროს ძმათა,
გზა კეთილისა აჩვენე მარად,
და ვითა ბუკი მეომარ რაზმთა,
ძმები წაჰქმართე მტერთან საომრად!

—

ბნელში შენს მამულს ეყავი სანთლად,
გადაეღობე მედგრად გზაზე მტრებს,
ძმათ ჭირში იყავ ნუგეშის მცემლად,
ზურგად შეუდეგ მხრებში სუსტთ, კოჭლებს!

—

უკუღმართთ დროთა სასტიკ ქარიშხალს
დაუხვდი მკერდით, ვით კლდე სალისა,
მაყივნებელს ბედს არამც შეუდრკე—
ცა უფრო ჰშვენის შემდეგ გრგვინვისა!

—

ძმათა კაება ჩასთვალე შენად,
სულით და გულით ეყმე ქვეყანას,
სხვისთვის იშრომე აწცა და მარად,
პირველობისთვის—ჰმსახურე ყველას!

—

და ვარსკვლავისებრ, თავზე ბრწყინვალე
ქების გვირგვინი შენ დაგედგმება,
და შთამომავალთ შენი საქმენი
ცხოვრების ლამპრად გაუნათდება!...

—

მაგრამ ამ რჩევით მე ვის მივმართე?
მწადს გავაფხიზლო ვისი გონება?
განა არ ვუწყი, რომ მას ვერ იმცნევს
ამაო კაცის ამპარტავნება!!

ზ.

ანთიმოზ ქიქოძე, კოსტანტინე მგელაძისა—ბიგო მგალობლიშვილი, მარიამ ქეკელიძისა—ოსეყმა მამეიშვილი, ელისაბედ სურგულაძისა—სილიბისტრო სურგულაძე და ბიჭია შუბლაძე, ალექსი ბასილაიშვილისა—მართა მახარაძისა.

ვიმეორებ, როგორც ყველა ამ პირებმა, ისე სხვებმაც, ვისაც ამ სკოლაში შვილი ჰყავს, ან ჰყოლია, კარგად იციან, რომ, არა თუ მე ვსთხოვდე იმათ რისამე მოტანას, არამედ პირ—იქით, სასტიკად ვსდევნი და უკანვე უბრუნებ მომტანს იმ ფეშქაშებსაც, რომლის მოტანაც სამწუხაროდ ჩვენში ისე გავრცელებულია, რომ ჩვეულებად გადაქცეულა. არა თუ კლასში მოსიარულე შაგირდებს სწავლის ფასს ვახდევინებდე, არამედ იმათაც სრულიად უსასყიდლოდ ვასწავლი, როცა დრო მაქვს კლასის შემდეგ, რომელთაც სკოლაში სწავლა უკვე შეუსრულებიათ და ჩემს მოსწავლეთა რიცხვში არ ითვლებიან.

ახლა გჰკითხავ, ბატონო ოზურგელო კორრესპონდენტო, ნუ თუ თქვენ არ იცით ის მცირედი ჭეშმარიტებაც, რომ ასე ცალიერი სიტყვით და მალულად პატიოსანი კაცის საქვეყნოდ გალანძღვა თქვენ არ შეგრჩებათ? ეს იცით მაგრამ თქვენგანვე შეთხზულის სიცრუისათვის საბუთის შოვნა ვერ შესძელით და ამიტომაც თქვენს სახელსაც ველარ აცხადებთ. ჩემი შეურაცყოფის სურვილს კი იმდენად გაუტაცნიხართ, რომ სრულიად დაგიკარგავსთ ის პაწაწა მოსაზრებაც, რომელიც სხვა შემთხვევაში თქვენშიაც კი უნდა მოიძებნებოდეს.

ბახვის სკოლის მასწავლებელი
გრიგოლ შარაშიძე.

სოფ. ბახვი, 18 დეკემბერს.

*S. P.* ვსთხოვ გაზეთ „კავკაზის" რედაქციას გადაბეჭდოს თავის გაზეთში ეს პასუხი და მით მომცეს შემთხვევა დავარღვიო ის ცილის-წამება, ჩემს შესახებ, რომელიც მას თავის გაზეთის მე-331 №-ში გადაუბეჭდავს. გ. შ.

## ტფილისის სამკურნალო.

ავადმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს.** გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავადმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავადმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიობის, ქალების და ყმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავადმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღ. ს სუსტის ავათმყოფობისა.


# განცხადებანი

1883 წ. 7 იანვარს
თბილისის კრუჟოკში იქნება
## ბალი
სასარგებლოდ შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელის თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადებისა.
დაიწყება დამის 9 საათ.
(9—1)

ექიმი—ბებია
## ნ. დ. ბავროსკი
გადავიდა ახალს სახლ. ზუბალოვისა ერევნის მოედ. და სასახლის ქუჩის კუთხეში. შესავალი ერევნის მოედანით.

იღებს ავად-მყოფებს განსაკუთრებით დედაცთა და ბავშვების სატკივრებით მუდამ დღე, უქმეებს გარდა, დილის 9 საათ. 11-მდის. (10—9)

3. შავერდოვის გაზეთის სააგენტოში ტფილისში (გოლოვინის პროსპექტზე ალექსანდროვის ბაღთან საკუთარს პავილიონში).

მიიღება ხელის მოწერა
1883 წლისა
ყოველ გვარ ჟურნალებზე და გაზეთებზე ადგილობრივ, რუსულ და საზღვარ გარეთებზედაც.
(20—18)

Вышла въ свѣтъ книга:
СВЯТѢЙШІЙ СѴНОДЪ ПРИ ПЕТРѢ ВЕЛИКОМЪ
въ его отношеніи къ правит. сенату.
Историческое изслѣдованіе Ѳ. Жорданія. Цѣна 1 р. 50 к. За пересылку прилагается 20 к. Продается въ книжномъ магазинѣ Грикурова.
(10—6)

დაიბეჭდა და ისყიდება გრ ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში:
თამარ დედოფალი
შედგენილი
კ. ბ—შვილისაგან
გამოცემა
ზაქ. ჭიჭინაძისაგან
ფასი ერთი აბაზი.

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში
მამულის
საერთო მფლობელობაზე
თხზულება
ანტონ ფურცელაძისა
გამოცემული
ზაქარ ჭიჭინაძისაგან.
ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

ახალი ქართული
## კარაბადინი
ისყიდება ტფილისში: შავერდოვის და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებში; ქუთაისში: მურადოვის და ჭილაძის წიგნების მაღაზიებში.
ფასი უდიანის ერთი მანეთი.


ტაქსა
საჭმელ-სასმელ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დახლებზე 1 დეკემბრიდამ 1 იანვრამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 3½ |
| მესამის „ | —1 გირ. | — |

იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 კ. |

ჯვარის-მამის პური:

| | | |
|---|---|---|
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 5 კ. |
| მეორის „ „ | —1 გირ. | 4½ |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 4 კ. |

ძროხის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 9 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 8 კ. |
| სუკი — — | —1 გირ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | 1 გირ. | 9 კ. |

ღორის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | 10 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 9 კ. |


მომავალს 1883 წელს
საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
# „შრომა"
გამოვა იმავე პროგრამმით და მიმართულებით, როგორც აქამდის გამოდიოდა.

გაზეთის გამოსაწერი ფასი სახლში მიტანით და სხვა ქალაქებში გაგზავნით: ერთის წლის—შვიდი მანეთი, ნახევრის წლის—ოთხი მანეთი, სამის თვის—ორი მანეთი და ხუთი შაური.

ხელის-მოწერა მიიღება:

ქ. ქუთაისში: გაზეთის რედაქციაში, ტფილისის ქუჩაზედ, ჭურთოევის სახლში.

ქ. ტფილისში: შავერდოვის გაზეთების სააგენტოში.

ამ ქალაქთ გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Кутаисъ. Въ редакцію газеты „Шрома".* (6—1)

შოვის დღესასწაულების განმავლობაში.
ბეკკერის თეატრი
მუნიბის მოედანზედ.
მშვენივრად მოწყობილი სცენა ელექტრონული გაჩაღებით.
შაბათს 25, კვირას 26 და ორშაბათს 27 დეკემბერს




გამოჩენილის რუსეთის და პრუსიის სასახლის მაგიკისგან
პროფესორი ბეკკერისგან
წარმოდგენილი იქნება მუდამ დღე ორ-ორი დიდი
ფანტასტიკური გამოჩვენება.

ყოველი წარმოდგენა შესდგება ახალი პროგრამმისაგან, საკვირველ გამოჩვენებთაგან და სხვათა შორის წარმოდგენილი იქნება ჯერ აქ არ ნახული
სულთა და აჩრდილთა გამოხმობა
ანუ
მცენარენი მკვდართაგან
ფანტაზიური სცენები, ლანდისებრ მოჩვენებით და განქრობით სულთა, მოჩვენებათა, აჩრდილთა, ჩონჩხთა, ვეშაპთა, ვიქთა, სატანათა და ჯანდაბათა.
ამ წარმოდგენებით გაკვირვებას მოსდიოდა მთელი დედამიწის ქალაქები.
დაწვრილებით ცნობანი აფიშებში.
დღის წარმოდგენები დაკლებულის ფასებით, დაიწყება 12 საათზ. შუადღისა; საღამოსი, ჩვეულებრივის ფასებით, 8 ს. საღამოისა.
ანონსი. ბ. ბეკკერის წარმოდგენები ტფილისში 6 იანვრამდის გაგრძელდება.


*Дозволено цензурою. Тифлисъ, 22 Декабря 1882 г.* *Типографія Меликова* გამომცემელი ს. მესხიშვილი. რედაქტორი ს. მესხი

ეროვნული ბიბლიოთეკა